

# მწვანე ალტერნატივას კომენტარები და შენიშვნები

„კამარა ჰესის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების პროექტის  
სკოპინგის ანგარიშის“ თაობაზე

25 თებერვალი, 2021

2021 წლის 3 თებერვალს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა [სკოპინგის განცხადება](#) - მდ. თერგის ხეობაში, 23.556 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (კამარა ჰესის) მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტი. დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელია, შპს „კამარა ენერჯი“, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი.

წარმოგიდგინებ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებსა და მოსაზრებებს აღნიშნულ ანგარიშზე.

1. დოკუმენტში რამდენჯერმე მეორდება წინადადება: „კამარა ჰესი აშენდება საქართველოში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში“. მთელი დოკუმენტში ისეთი სახით არის აგებული, თითქოს კამარა ჰესი აუცილებლად აშენდება: განხილულია მდებარეობის და დიზაინის მხოლოდ ერთი ალტერნატივა ზუსტი მდებარეობის და დიზაინის მითითებით და ა.შ. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ პროექტის ავტორებს გზმ პროცესი ფორმალურად მიაჩნიათ და არ უყურებენ, როგორც გადაწყვეტილების მიღების წესს.

2. დოკუმენტი ძალზე დაბალი ხარისხისაა. მიუხედავად იმისა, უხარისხო სკოპინგის/გზმ ანგარიშების განსახილველად წარდგენა უკვე ნორმად იქცა, წინამდებარე დოკუმენტმა ყოველგვარ პესიმისტურ მოლოდინს გადააჭარბა. სხვადასხვა ნაწილში წარმოდგენილი ინფორმაცია ერთმანეთს ეწინააღმდეგება და ამის გამო გადაწყვეტილების მიმღებისთვის და დაინტერესებული საზოგადოებისათვის შეუძლებელია რეალური ზეგავლენის დადგენა და იმაში დარწმუნება, რომ საქმიანობა არ იქონიებს შეუქცევად ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. კანონმდებლობით მოთხოვნილი ზოგიერთი ინფორმაცია/თავი საერთოდ არ არის, ან მოცემულია სათაური, მაგრამ იქ მოცემული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან უფრო მეტიც - არ შეესაბამება სათაურს. განსაკუთრებით დაბალი ხარისხისაა ბიომრავალფეროვნებასთან, ბერნის კონვენციით დაცულ ჰაბიტატებთან და სახეობებთან, დაცულ ტერიტორიებთან, ზურმუხტის უბნებთან მოცემული ნაწილები.

3. დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივები პრაქტიკულად არ არის წარმოდგენილი. დოკუმენტის 41-ე გვერდზე („პროექტის ალტერნატიული

თბილისი, 0179, საქართველო  
ფალიაშვილის ქ. 39ბ, IV სართ.  
ტელეფონი: (995 32) 22 38 74  
ელ.ფოსტა: [greenalt@greenalt.org](mailto:greenalt@greenalt.org)  
ვებ-გვერდი: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

ვარიანტების ზოგადი მიმოხილვა“) კი პირდაპირ აღნიშნულია, რომ „პროექტის საბოლოო ფორმა დადგენილი იქნა ყველა ალტერნატივის შესწავლის შემდეგ და მოცემულ ეტაპზე არ არსებობს რაიმე ალტერნატიული გეგმა“. მართლაც, მთელ დოკუმენტში წარმოდგენილია ჰესის სხვადასხვა სტრუქტურის თუ ტექნოლოგიური გადაწყვეტის მხოლოდ ერთი ვერსია, ალტერნატივების გარეშე (მხოლოდ სანაყაროების ალტერნატივები არის ნახსენები, თუმცა ნახაზებზე მხოლოდ ერთი ვარიანტია წარმოდგენილი). 3.2 თავში „საპროექტო ინფრასტრუქტურის განლაგების და ტიპის და მშენებლობის მეთოდოლოგიის ალტერნატიული ვარიანტები“ აღნიშნულია, რომ ალტერნატივები განხილული იქნება გზშ-ს დროს, რაც არ ათავისუფლებს დოკუმენტის ავტორს კოდექსის მე-8 მუხლის, მე-3 პუნქტის ა.გ) ქვეპუნქტის შესრულების ვალდებულებისგან. **ამრიგად, წარმოდგენილი პროექტი პირდაპირ არღვევს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის, მე-3 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს სამინისტროს მხრიდან საქმიანობაზე უარის თქმის საფუძველს.**

4. სკოპინგის ანგარიში არ მოიცავს „სრულ“ პროექტს. არაფერია ნათქვამი ჰესთან ასოცირებული ინფრასტრუქტურის ზემოქმედების შესახებ (ელექტროგადამცემი ხაზი და მათი ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე, ლანდშაფტზე, ადამიანების ჯანმრთელობასა და საცხოვრებელ პირობებზე).

5. მოსახლეობაზე ზემოქმედება ძალზე ზედაპირულადაა მოცემული და არ ითვალისწინებს მნიშვნელოვან გარემოებებს. მაგალითად, გვ. 38 აღნიშნულია, რომ „მშენებლობის ადგილი მდებარეობს თბილის-ლარსის ავტომაგისტრალის (E117) მახლობლად. სამშენებლო უბნის სიახლოვეს არის არსებული გრუნტის გზები, რომლებიც გამოიყენება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. ეს გზები შეიძლება გამოყენებული იქნას ჰიდროელექტროსადგურის ძირითადი კომპონენტების მშენებლობის დროს და, აგრეთვე, გამოყენებული იქნას როგორც მისასვლელი გზები ექსპლუატაციის დროს. სათავე ნაგებობების უბანზე, მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირზე, არის საცხოვრებელი სახლები და ადგილობრივი დანიშნულების გრუნტის გზები, რომლებიც ამ სახლებამდე მიდის. სათავე ნაგებობებთან მისასვლელად საჭირო იქნება გზის მოწყობა მდინარის ხეობაში. ჰიდროელექტროსადგურის შენობის სამშენებლო უბანთან პირდაპირ მიდის გრუნტის გზა, რომელიც მშენებლობის მიზნებისთვის სავსებით გამოსადეგია. ამ გარემოებების გამო არ არის საჭირო მნიშვნელოვანი თანხების გამოყოფა ჰესის ძირითად კომპონენტებთან მისასვლელი გზებისთვის“. საერთოდ არ ფიქრობენ სკოპინგის ანგარიშის ავტორები იმაზე, რომ თუ ამ გზებს დაიკავებს კომპანია, რით ისარგებლებენ ადგილობრივები.

6. დოკუმენტში რამდენჯერმეა აღნიშნული, რომ „ექსპლუატაციის დროს იმუშავებს 14 ადამიანი (მათ შორის 2 ინჟინერ-ელექტრიკოსი, 3 ინჟინერ-მექანიკოსი, 3 ელექტრო-ტექნიკოსი და 6 დამხმარე პერსონალი). მშენებლობის ფაზის დროს მოსალოდნელია 100-დან 300-მდე ადამიანის მუშაობა.

ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივების დასაქმება ექსპლუატაციის ეტაპზე უმნიშვნელო იქნება. რაც შეეხება მშენებლობის ფაზის დროს მოსალოდნელია 100-დან 300-მდე ადამიანის მუშაობას, ეს არ შეეფერება სინამდვილეს. როდესაც იმავე რეგიონში ერთად მიმდინარეობდა ლარსი-ჰესისა და დარიალ-ჰესის მშენებლობა (ორივეს კომპანია „ფერი“ აწარმოებდა), გზშ-ის ანგარიშების მიხედვით, დასაქმებული უნდა ყოფილიყო 350 ადამიანი. რეალურად კი ერთდროულად დაახლოებით 70 ადამიანი იყო დასაქმებული. ერთიდაიმავე სამუშაო ადგილზე სხვადასხვა ადამიანის დასაქმება წარმოდგენილი იყო, როგორც რამდენიმე ადამიანის დასაქმება. ამრიგად, დასაქმების თვალსაზრისით პროექტის სარგებელი არის უმნიშვნელო.

ამრიგად, სრულიად უსაფუძვლოა მტკიცება, თითქოს „დაგეგმილი ობიექტების მშენებლობა შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და სამუშაოს შესაძლებლობებს მიმდებარე არეალში, და ამით გამოიწვევს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების და ცხოვრების დონის ამაღლებას“. უპირანი იქნება, სამინისტრომ გამოიკვლიოს, რამდენი ადამიანის ცხოვრების დონე აამაღლა წინა წლებში განხორციელებულმა სამი ჰესის პროექტმა.

7. პროექტში მოცემული „არაქმედების ალტერნატივა“ არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. კერძოდ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტის თანახმად, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით. ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტი არღვევს ამ მუხლის მოთხოვნებს და მასზე არ შეიძლება გაიცეს სკოპინგის დასკვნა.

8. დოკუმენტში შეცდომით წერია გეოგრაფიული დასახელებები (მაგ. მთა ქაბარჯინას ნაცვლად ზოგან წერია კარბარჯინა, ხოლო ზოგან კაბარდინა), რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს დოკუმენტის დაბალ ხარისხზე.

9. ჩატარებული კვლევა სრულიად არასაკმარისია, რაც ნათელია მისი შინაარსიდან. ამავდროულად, ეს აღიარებულია თავად ტექსტშიც, სადაც აღნიშნულია, რომ მხოლოდ 2 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საველე საქმიანობა: „კამარას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის სამუშაოთა მოცულობის ფარგლებში 13-14 ივლისს ჩვენ ჩავატარეთ ვიზუალური საველე კვლევა-ძიება“. ამ ე.წ. „კვლევა-ძიების“ დროსაც საკვლევ ჯგუფს არ მოუნახულებია უმეტესი ადგილები („წყალსატარი მილსადენის უბანთან მიახლოება შესაძლებელი იყო მხოლოდ დაახლოებით 420-450 მ-ის მანძილზე“).

10. დოკუმენტში ნახსენებია გარკვეული სტიქიური მოვლენები „1953 წლის 17 აგვისტოს და 2017 წლის 6 აგვისტოს დვარცოფულმა ნაკადებმა, რომლებმაც გამოიარეს მდინარე თერგის შენაკადები გადაკეტეს მდინარის კალაპოტი და მისი გარღვევის შემდეგ გამოიწვიეს დიდი მატერიალური ზარალი ყაზბეგის რაიონში“. გაუგებარია, რომელ მდინარეზე მოხდა, რა მოვლენას ქონდა ადგილი, რატომ არ არის ამ პერიოდში მომხდარ ორზე მეტ ბუნებრივ კატასტროფებზე საუბარი და განხილული მათი გამომწვევი მიზეზები და ა.შ.

11. დოკუმენტი ეყრდნობა სრულიად მოძველებულ ჰიდროლოგიურ მონაცემებს, რომლებიც სავსებით არასაკმარის პერიოდში მოიცავს ამავდროულად 1981-1990 წლებს. წყლის ხარჯი კამარა ჰესზე სწორედ ამ მონაცემებით არის გამოთვლილი „ყაზბეგის სადგურის თვიური ჩამონადენი გამოყენებული იქნა კამარა ჰესის ხარჯის გამოსაანგარიშებლად. კამარას ჰესზე ჩამონადენის ხარჯის ოდენობა 1982-1990 წლების პერიოდში მიღებული იქნა ყაზბეგის თვიური ჩამონადენიდან ფართობების ფარდობის მეთოდით (432/778)“. ამ საექვო მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრულია, რომ კამარა ჰესის საშუალო გაანგარიშებული ჩამონადენი (ხარჯი) არის 13.73 მ<sup>3</sup>/წმ, რაც მოცემულია ცხრილი 4-2-ში. სანიტარული ჩამონადენის ნაკადი არის 1.53 მ<sup>3</sup>/წმ. „სანიტარული ჩამონადენის ნაკადს (რომელიც უდრის წყალმემკრები აუზის ნაწილში მდინარის საშუალო მრავალწლიანი ჩამონადენის 10 პროცენტს)“ დოკუმენტის ზოგ ადგილად რატომღაც უწოდებენ „ეკოლოგიურ ნაკადს“.

12. სრულიად ანეგდოტურია თავი 4.3.3. „ეკოლოგიური ნაკადის შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდი“, რომელიც სულ სამ სტრიქონს შეადგენს: „ტენიანი გარემოს მეთოდის შესაბამისად

ეკოლოგიური ნაკადი უტოლდება წყალშემკრები აუზის ნაწილში მდინარის საშუალო მრავალწლიანი ჩამონადენის ნაკადის ოდენობის 10%-ს. მოცემული პროექტისთვის ეკოლოგიური ნაკადის ოდენობა არის 1.53 მ3/წმ“. არანაირი მეთოდი აქ არ არის არათუ დასაბუთებული, არამედ ნახსენები; არ არის მითითებული არანაირი ლიტერატურა. ნათელია, რომ გამოყენებულია ცნობილი საბჭოთა, „სანიტარული ხარჯის“ მიდგომა, რომლის შედეგადაც დეგრადირებულია ყველა მდინარე, რომელზეც კი ჰესი აშენებულა საქართველოში.

13. აღსანიშნავია, რომ შემარბილებელ ღონისძიებებში (გვ 110) არც კი განიხილება, რომ 10% დატოვება შეიძლება არ იყოს საკმარისი ეკოსისტემის ფუნქციონირებისა და ლანდშაფტის დეგრადაციის თავალსაზრისით. „ზემოქმედება ჰიდროლოგიურ რეჟიმზე“ განხილულია, როგორც „ენერგეტიკული დანიშნულებით წყლის აღების გამო მდინარეების საპროექტო მონაკვეთებში წყლის ბუნებრივი ხარჯის შემცირება“, მაგრამ შემარბილებელ ღონისძიებებზე განიხილება მხოლოდ შემდეგი: „დამყარდება კონტროლი სათავე კვანძის ქვედა ბიეფში ეკოლოგიური ხარჯის გატარებაზე; მდინარეში ეკოლოგიური ხარჯის ტოლი ან მასზე ნაკლები ხარჯის მოდინების შემთხვევაში მოხდება ჰესის მუშაობის შეჩერება და მოდინებული წყლის ხარჯი სრულად გატარდება სათავე კვანძების ქვედა ბიეფში“. ამგვარი მიდგომა სრულად შეუთავსებელია ევროკავშირის თანამედროვე სტანდარტებთან. აღნიშნული თანამედროვე სტანდარტების დასაცავად და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, აუცილებელია მომავალში ამ და სხვა ნებისმიერმა პროექტმა იხელმძღვანელონ „საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოთი“ (აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „მმართველობა განვითარებისათვის“ USAID/G4G; „დელოიტ ქონსალტინგი“, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო | საქართველო, ავტორი: GEORGIA'S ENVIRONMENTAL OUTLOOK, თებერვალი 2017, რედ.: გიორგი ჩიქოვანი, ქეთევან სხირელი, მარიამ ბახტაძე).

14. ასევე კურიოზულია თავი „5.2. საპროექტო ტერიტორიის ფაუნის მოკლე აღწერა“, სადაც საერთოდ არ არის განხილული ფაუნა და მასზე პროექტის ზემოქმედება. არათუ ზემოქმედება, საერთოდ, ფაუნის არც ერთი სახეობა, არც ერთი ცხოველის სახელწოდება ნახსენებიც კი არ არის! თუმცა, სხვა მოცემული ინფორმაციაც არასწორია. მაგალითად, ავტორებს ჰგონიათ, რომ „მსოფლიოში ბიომრავალფეროვნების 35 ცხელ წერტილი არსებობს“.

15. პროექტში მოცემულია თავი „5.3. დაცული ტერიტორია - ყაზბეგის ეროვნული პარკი“, სადაც საერთოდ არაფერი არ წერია სწორად ამ დაცული ტერიტორიის შესახებ. ავტორებს სხვა გზმ ანგარიშებიდან გადმოწერილი აქვთ ძველი მონაცემები, რომლის მიხედვითაც ეროვნული პარკის საერთო ფართობია 8707 ჰექტარი. ავტორებმა არ იციან, რომ ყაზბეგის ეროვნული პარკის ფართობი წლების წინ გაიზარდა. საერთოდ არ იციან „თრუსოს დაცული ლანდშაფტის“ და რამდენიმე ბუნების ძეგლის არსებობის შესახებ.

ამ სახით მოცემული ტექსტი არ შეიძლება ჩაითვალოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის, მე-3 პუნქტის „ბ.ა.“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესრულებად.

16. დოკუმენტში ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული უბანი „ყაზბეგი GE0000009“ მოხსენიებულია, როგორც კანდიდატი უბანი. ასევე, არასწორი მონაცემია მოცემული, როდესაც აღნიშნულია, რომ „საქართველოში „ზურმუხტის ქსელის“ 58 საიტი არსებობს, რომელთაც მთელი ქვეყნის ტერიტორიის 18% უკავია“.

17. პროექტის მიხედვით, GE0000009 ყაზბეგი საიტი მდებარეობს „კამარა“ ჰესის სამშენებლო დერეფნის მოსაზღვრე ტერიტორიაზე. ჰესის სადაწნეო მილსადენის (არხის) 300 მ სიგრძის მონაკვეთი კი პირდაპირ კვეთს ზურმუხტის საიტს და ეროვნული პარკის საზღვართან 20 – 50 მეტრით არის დაშორებული. ეს კი ნიშნავს, რომ კომპანიამ უნდა წარმოადგინოს ე.წ. შესაბამისობის შეფასება“ (Appropriate Assessment, AA), სადაც განხილული იქნება პროექტის ზეგავლენა „ზურმუხტის საიტებზე“. ასეთი შეფასება სავალდებულოა, მიუხედავად იმისა, უშუალოდ იჭრება თუ არა პროექტი ზურმუხტის უბნის საზღვრებში (იხ. ევროკომისიის სახელმძღვანელო დოკუმენტი European Commission, 2018. Guidance on The requirements for hydropower in relation to Natura 2000). „შესაბამისი შეფასება“ უნდა მომზადდეს ადრეულ ეტაპზე.

18. გასათვალისწინებელია, რომ ბერნის კონვენციამ დაავალა საქართველოს, რომ დაუყოვნებლივ მოამზადოს მდინარეების დაცვის ეროვნული სტრატეგია, სწორედ ჰაბიტატებისა და სახეობების ჰესების მშენებლობებისგან დაცვის მიზნით.

19. მთლიანად შეცდომითაა მოცემული ინფორმაცია ბერნის კონვენციით დაცული ჰაბიტატების შესახებ, ვინაიდან ავტორები ხელმძღვანელობენ ჰაბიტატების კლასიფიკაციის ძველი სქემით (CORINE biotope classification). ეს სისტემა აღარ გამოიყენება 2014 წლიდან და შეიცვალა EUNIS კლასიფიკაციით.

20. თავში „5.5. საკვლევ ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო კონვენციებით დაცული სახეობები“ მოცემულია სკოლის სახელმძღვანელოს დონის ინფორმაცია სახეობებზე და არანაირი კავშირი არ აქვს ამ პროექტის ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენის შეფასებასთან.

21. ინფორმაცია, რომელიც შეეხება SPA-ს (სპეციალური დაცული ტერიტორია ფრინველთათვის), რომელიც ემთხვევა IBA-ს (ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილი) ფართობების შეფარდებას დაცულ ტერიტორიებთან არასწორია, ვინაიდან პროექტის ავტორებმა არ იციან დაცული ტერიტორიების რეალური ფართობი და მოძველებულ მონაცემებს ეყრდნობიან. ტექსტის ეს ნაწილიც, სავარაუდოდ, მექანიკურადაა გადაწერილი სხვა დოკუმენტებიდან.

22. სრულიად აბსურდული ინფორმაციაა მოცემული იქთიოფაუნისა და მასზე პროექტის ზემოქმედების შესახებ. გვ. 80-ზე აღნიშნულია, რომ „საპროექტო კაშხლის გასწორში გვხვდება მხოლოდ ნაკადულის კალმახი, რომელიც 2000 – 2500 მეტრის სიმაღლეებზე ქმნის „მთის ფორმის“ კალმახის პოპულაციას. თევზის ამ სახეობას მიგრაციის პროცესი არ ახასიათებს და ბინადრობს მხოლოდ ლოკალურ გეოგრაფიულ არეალში, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (შესაძლებელია დარიალის ხეობის რუსეთის ფედერაციის საზღვრებში არსებულ მონაკვეთზე)“. თუმცა, ცოტა ქვემოთ, 92-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ „თერგის კალმახი პოლიმორფული სახეობაა, ის წარმოქმნის გამსვლელ - ანადრომულ, ტბიურ-ლაკუსტრინულ და მკვიდრ-რეზიდენტულ პოპულაციებს. ანადრომული პოპულაციის ინდივიდების ზომა 130 სმ-ს აღწევს, წონა 9 კგ-ს, რეზიდენტული და ტბიური პოპულაციების ინდივიდების სიგრძე ძირითადად 35 სმ-მდეა“. რის საფუძველზე დაასკვნეს, რომ კაშხლის გასწორში მობინადრე ფორმა არ არის ანადრომული სახეობა, გაუგებარია. გამოყენებული ლიტერატურა არ არის მოხსენიებული და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მტკიცება არანაირ კვლევას არ ეყრდნობა. საქმიანობის ზემოქმედების აღწერის და შემარბილებელი ღონისძიებების ნაწილში ორჯერ არის ნახსენები, რომ ზემოქმედების ქვეშ იქნება „**მდინარეების ფარავნის და კორხის იქთიოფაუნა**“ (გვ. 92 და გვ. 111). ეს ნიშნავს, რომ დოკუმენტი უბრალოდ კოპირებულია სხვა ანალოგიურიდან, რომელიც სამცხე-ჯავახეთს ეხებოდა და არანაირი კვლევა არ არის „კამარა ჰესის“ ზეგავლენასთან დაკავშირებით ჩატარებული.

23. დოკუმენტის თანახმად, საქმიანობის განხორციელება იგეგმება (გვირაბის გაყვანის სამუშაოები) ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით. დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს აქტიური ვულკანის ფერდობზე.

24. ასევე არ არის განხილული, რა ზეგავლენას მოახდენს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები და მდინარის კალაპოტში მისი 10%-ის დატოვება რეგიონის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ბუნებრივ რესურსზე და ტურისტული თვალსაზრისით მიმზიდველ პროდუქტზე - მჟავა წყლებზე.

25. დოკუმენტში საერთოდ არ არის განხილული ვიზუალურ ლანდშაფტური ზემოქმედება ჰესის ექსპლუატაციის დროს, ანუ გარემოს/ლანდშაფტის ვიზუალური დაბინძურება, რომელიც გამოწვეული იქნება ჰესის სტრუქტურებით, გადამცემი ხაზებით და ბოძებით, ასევე მდინარის დაშრებით. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ზემოქმედება, რაც მთლიანად ცვლის პეიზაჟს და აუფასურებს ტურისტულ ღირებულებას. ავტორები ვიზუალურ-ლანდშაფტურ ზემოქმედებად განიხილავენ მხოლოდ მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოების დროს შეცვლილ გარემოს და მიაჩნიათ, რომ პრობლემა აღმოიფხვრება მშენებლობის დასრულების შემდეგ სამშენებლო ბანაკისა და სამშენებლო მანქანა-დანადგარების, მასალის და ნარჩენების გატანით, ასევე, სარეკულტივაციო-გამწვანებითი სამუშაოების ჩატარებით.

**ნათელია, რომ ვიზუალურ-ლანდშაფტური დაბინძურების ხასიათი და მოცულობა მიუღებელია, გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენცია შეუძლებელია და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება შეუძლებელია, შესაბამისად, მინისტრი ვალდებულია ამ ეტაპზე უარი თქვას საქმიანობის განხორციელებაზე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით.**

26. დოკუმენტის მიხედვით, „სამშენებლო სამუშაოების წარმოების და ჰესის ნორმალური ოპერირების პირობებში ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ზემოქმედების მაღალი რისკები მოსალოდნელი არ არის. ... ძირითადი სამუშაოების წარმოების ტერიტორიიდან (სამშენებლო მოედნიდან) ადგილობრივი მოსახლეობა დაშორებულია მნიშვნელოვანი მანძილით, რაც თავისთავად ამცირებს ნეგატიური ზემოქმედებების რისკებს მოსახლეობაზე“. სინამდვილეში, სოფელი გარბანი 100 მეტრითაა ჰესის შენობასთან დაშორებული, რაც ნიშნავს, რომ მაცხოვრებლებს მუდმივად შეაწუხებთ აგრეგატების ხმაური ჰესის ექსპლუატაციის დროს. ძლიერი იქნება ზემოქმედება მშენებლობის პროცესშიც.

27. აღსანიშნავია, რომ საქმიანობის განხორციელებით დაინტერესებულ კომპანიას „კამარა ჰესის“ პროექტის განხორციელებისათვის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან უკვე მოთხოვნილი აქვს არაერთი მიწის ნაკვეთი, რაც ნიშნავს, რომ მათ გზმ პროცესი სრულიად ფორმალურ პროცესად მიაჩნიათ, ვინაიდან სამინისტრო აუცილებლად დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს.

28. ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედების რისკები არასათანადოდაა შეფასებული, ვინაიდან აღნიშნულია, რომ „საპროექტო დერეფანში ხილული ისტორიული ძეგლები არ ფიქსირდება“. აღნიშნული არ შეესაბამება სინამდვილეს.

29. საფუძველს არის მოკლებული დოკუმენტში მოცემული მტკიცება პროექტის ეკონომიკური და ენერგეტიკული სარგებლიანობის შესახებ. არ არის მოცემული, რომელ თვეებში გამოიმუშავებს ელექტროენერგიას მნიშვნელოვანი რაოდენობით. როგორც ყველა ანალოგიური ჰესი, ის გამოიმუშავებს ელექტროენერგიას წლის იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს ისედაც ჭარბად აქვს

საკუთარი გამომუშავებული იაფი ენერჯია. ხოლო შეწონილ ტარიფში შემოთავაზებული ძვირი ფასის დამატება უცილობლად გამოიწვევს ელექტორენერჯიაზე ტარიფის ზრდას. არანაირ კვლევას და დასაბუთებას არ ემყარება პროექტში მოცემული წინადადება „პროექტისთვის სარგებლის ფარდობა დანახარჯებთან არის 1.82“, ვინაიდან არც მეთოდოლოგიაა დასახელებული და არც ამ მეთოდოლოგიის შესრულებული გათვლებია წარმოდგენილი.

იმედს გამოვთქვამთ, რომ სამინისტრო უარყოფით დასკვნას გასცემს ამ დოკუმენტზე მისი უხარისხობის და კანონმდებლობასთან შეუთავსებლობის, ასევე წარმოდგენილი საქმიანობის ხასიათისა და მოცულობის მიუღებლობის, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობის გამო. აღნიშნულში კიდევ ერთხელ დარწმუნებისათვის, სამინისტრო ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-17 მუხლის თანახმად, განხორციელოს ანალოგიური პროექტების - ლარსი-ჰესისა და ყაზბეგი-ჰესის საქმიანობის შემდგომი ანალიზი და შედეგებით იხელმძღვანელოს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მით უმეტეს ცნობილია, რომ „კამარა ჰესის“ სკოპინგის ანგარიშის ავტორები - მარიამ ქიმერიძე და მედგარ ჭელიძე - აქტიურად უჭერდნენ მხარს „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობას და საქმის წარმოების პროცესში წარმოადგინეს დასკვნები, სადაც ამტკიცებდნენ, რომ ჰესი არანაირ უარყოფით ზემოქმედებას არ იქონიებს ბიომრავალფეროვნებაზე/გარემოზე. თუმცა, შედეგი სრულიად საპირისპიროა, რაზეც ნათლად მიუთითებს ეს ფოტო სურათი :



ფოტო: მდინარე ხდის ხეობა ყაზბეგი-ჰესის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ.